ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

# ოქმი N 2

13 ნოემბერი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ვალერიან პაპუაშვილი

მიხეილ რეხვიაშვილი

ქეთევან ჭავჭანიძე

ლუკა ბაბამია

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

1. თამარ სარაჯიშვილი
2. ვასილ ბერიშვილი
3. ვიტალი ბენდელიანი
4. ბეჟან ქვილითაია
5. მარიამ კოტრიკაძე
6. ალექსანდრე ჩადუნელი

7. ლევან გრიგოლია
8. იოსებ ბაღაშვილი

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის **ნოე რამიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის **რობერ შუმანის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მძლეოსანის, ოლიმპიური ჩემპიონის **ვიქტორ სანეევის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, შოთა მიქატაძის ქუჩისთვის სპორტსმენის, ფეხბურთელ **სერგო კოტრიკაძის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის I ქუჩისთვის და I ჩიხისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს **ოთარ ჯაფარიძის** სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბისკირიას ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის **გურამ გაბესკირიას** სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და **დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხებ**ის სახელის მინიჭების შესახებ

8. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის **13 მაისის** სახელის მიენიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N447 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

9. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის **კედარის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ

10. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ შინდისში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთისთვის და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევისთვის **მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

**1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძის ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელის მინიჭების ინიციატივას.

ნოე რამიშვილმა 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, იმავე დღეს კი აირჩიეს ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველ თავმჯდომარედ. ამ პოსტზე იგი 24 ივნისს შეცვალა ნოე ჟორდანიამ, ხოლო ნოე რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა, განათლების და სამხედრო მინისტრად. იყო პარლამენტის წევრი და თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ნოე რამიშვილი საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, თუმცა მას ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე იყო. 1930 წელს „ჩეკას" დავალებით მოკლეს პარიზში, დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

ცნობილია, რომ 2024 წლის 24 მაისს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით, 26 მაისის მოედანთან არსებულ სკვერს მიენიჭა ქართველი პოლიტიკოსის და დიპლომატის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრის, საფრანგეთში საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის სახელი.

კომისიის მიერ შესწავლილ იქნა 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერის მიმდებარე ტერიტორია. არსებული სარეკრეაციო სივრცეები იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს სახელდება თემატური კონტექსტის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ შერჩეული სახელწოდებები დაუკავშირდება საქართველოს 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის მოპოვებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელი.

**2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის რობერ შუმანის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებთან ერთად ვაკის რაიონში კიდევ ერთი უსახელო სკვერის სახელდების საკითხი განიხილა. საკითხის ინიციატორი შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის დირექტორი მარიამ გორგოძეა. მისი მომართვის საფუძველზე და სკოლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, კომისია მხარს უჭერს დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის რობერ შუმანის სახელის მინიჭებას.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის სხდომას ესწრებოდა რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თამარ სარაჯიშვილი. მან რობერ შუმანის ბიოგრაფიაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფრანგი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რობერ შუმანი 1946-1956 წლებში საფრანგეთის მთავრობის წევრი, ევროინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლავალის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი იყო. რაც შეეხება მისი სახელობის ევროპულ სასწავლებელს თბილისში, ეს გახლავთ პროევროპული კურსის გამტარებელი 4 გაერთიანებული კერძო სკოლების კომპლექსი, რომელიც ხშირად სტუმრობს სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებს, სენატორებს, ელჩებს, ერთობლივად ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მან მადლობა გადაუხადა კომისიას ინტერესის გათვალისწინებისთვის და მხარდაჭერისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გაითვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, დიმიტრი არაყიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის ქუჩებთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ფრანგი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის რობერ შუმანის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მძლეოსნის, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი გააცნო და აღნიშნა, რომ საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციისა და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე, კომისია განიხილავს დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის მძლეოსნის, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭების საკითხს. კომისიის სხდომაზე საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული ვიქტორ სანეევის ბიოგრაფიაზე ვრცლად ისაუბრეს. იგი იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მეოთხე ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი სამხტომში, შვიდგზის ევროპის ჩემპიონი, ღირსების ორდენოსანი, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი და თბილისის საპატიო მოქალაქე.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის სხდომას ესწრებოდა მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი ვასილ ბერიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას და აღნიშნა, რომ ვიქტორ სანეევის სახელის მინიჭება მისასალმებელი ნაბიჯია. აღნიშნულ ტერიტორიაზე სახელდება გამართლებულია იმ მხრივაც, რომ ქუჩა მდებარეობს უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ, ტერიტორიას ესაზღვრება ახალი ოლიმპიური სასახლე, რომელიც დამსახურებული კალათბურთელების ოთარ ქორქიას და ნოდარ ჯორჯიკიას სახელს ატარებს.

აფხაზეთის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ვიტალი ბენდელიანმა, რომელიც ასევე კომისიის სხდომას ესწრებოდა, მადლობა გადაუხადა კომისიას თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მძლეოსნის, ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელი.

4. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, შოთა მიქატაძის ქუჩისთვის სპორტსმენის, ფეხბურთელ სერგო კოტრიკაძის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს**: ლევან აბაშიძემ კომისიის სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდები წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების შესახებ ისაუბრა, რომლის თანახმადაც დაუშვებელია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთი ტიპის გეოგრაფიული ობიექტებისთვის იდენტური (დუბლირებული) სახელწოდების არსებობა.

მისივე ინფორმაციით, სახელდებისა დ სიმბოლიკის კომისიის მიერ, გეოგრაფიული არეალების დამუშავების პროცესში დადგინდა, რომ გლდანის და ნაძალადევის რაიონებში არსებობს შოთა მიქატაძის სახელობის ორი ქუჩა. კომისიაში დაცული დოკუმენტური მასალის შესწავლით დგინდება, რომ ორივე შემთხვევაში საუბარია მოქანდაკე შოთა მიქატაძეზე. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს გლდანის რაიონში, თიანეთის გზატკეცილთან მდებარე შოთა მიქატაძის ქუჩის სახელის ცვლილებას. ხსენებული ქუჩისთვის მისანიჭებელი ახალი სახელის შერჩევის პროცესში კომისიის მიერ გამოკვლეული იქნა ქუჩის წარმოშობის ისტორია, შესწავლილი იქნა მიმდებარედ არსებული ინფრასტრუქტურა. დგინდება, რომ ქუჩაზე ფუნქციონირებს თბილისში ერთ-ერთი მასშტაბური საფეხბურთო კომპლექსი ე.წ. „ამერი". აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია შესაძლებლად მიიჩნევს გლდანის რაიონში არსებული შოთა მიქატაძის ქუჩისთვის ფეხბურთელ სერგო კოტრიკაძის სახელის მინიჭებას, რომელიც ასევე მეკარე, არაერთი პრიზის მფლობელი და ღირსების ორდენის კავალერი იყო.

სერგო კოტრიკაძე 1962 წლის ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე და 1964 წლის 18 ნოემბრის „ოქროს მატჩის" მონაწილე გახლდათ.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის სხდომას ესწრებოდა ფეხბურთელის შვილიშვილი მარიამ კოტრიკაძე. მან ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას და აღნიშნა, რომ ინიციატივა ნამდვილად მისასალმებელი და დასაფასებელია.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია ერთხმად გაუწიეს.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** გლდანის რაიონში, შოთა ციქატაძის ქუჩას მიენიჭოს სპორტსმენის, ფეხბურთელ სერგო კოტრიკაძის სახელი.

## 5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზიგზაგის I ქუჩისთვის და I ჩიხისთვის ისტორიკოსის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც დგინდება, ზიგზაგის სახელით ცნობილ ქუჩაზე გზათა ქსელი უსისტემოდაა სახელდებული, რაც ართულებს შენობა-ნაგებობების თანამედროვე ნუმერაციის პროცესს, თუმცა საკითხის წარდგენისას ლევან აბაშიძემ ასევე აღნიშნა, რომ ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის ნაწილს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ როგორც სახელწოდებასთან, ასევე ქუჩის გავრცელების არეალთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრის, ვალერიან პაპუაშვილის განცხადებით, მას, როგორც აღნიშნული უბნის მაჟორიტარ წევრს, კონსულტაციები ქონდა მოქალაქეებთან. როგორც მან აღნიშნა, ზიგზაგის ქუჩა არის ძირითადი მისასვლელი გზა. მოქალაქეთა პოზიციაა, სახელი შეუნარჩუნდეს ხსენებულ ქუჩას, ხოლო ცვლილება განხორციელდეს სხვა მონაკვეთებზე.

ლევან აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეხუთე საკითხი.

მომხრე - არცერთი

წინააღმდეგი - ყველა

თავი შეიკავა - ყველა.

6. **ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბისკირიას ქუჩისთვის საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბესკირიას სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 29 მაისის #112 დადგენილებით, სახელები მიენიჭა ივერთუბნის ტერიტორიაზე მდებარე 11 უსახელო ქუჩას. ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა საქართველოს ეროვნული გმირის, გურამ გაბესკირიას სახელი, თუმცა დადგენილების ტექსტურ ნაწილსა და დანართში ქუჩის სახელწოდებად მითითებულია გურამ გაბისკირიას ქუჩა.

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული სახელდების დოკუმენტით რამდენიმე ქუჩას მიენიჭა სახელი, ასევე 2014 წლის საკრებულოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი იყო დადგენილება, ხოლო დღეს იგივე ტიპის სამართლებრივი აქტი, არის განკარგულება, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია #112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ნაცვლად, მიზანშეწონილად მიიჩნევს ქუჩისთვის სახელის ხელახლა მინიჭებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ჩუღურეთის რაიონში, გურამ გაბისკირიას ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის გურამ გაბესკირიას სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და **დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების** სახელის მინიჭების შესახებ

**მოისმინეს:** კომისიის სხდომაზე ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევისთვის და მასთან არსებული მონაკვეთებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელეს. როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, ტერიტორია ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად, ხოლო საბარგოს დასახლების XII შესახვევთან განკითარებული სამ მონაკვეთს, დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების სახელები მიენიჭება. საკითხის ინიციატორი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურია, რომლითაც შუამდგომლობენ აფხაზეთის და სამაჩაბლოს მებრძოლ ვეტერანებს. სამსახურის ინფორმაციით, საბრძოლო მოქმედებებში გამოჩენილი თავდადებისა და თავგანწირვისთვის, დიმიტრი ილიას ძე კორახაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ლევან ჯაფარიძის ინფორმაციით, დიმიტრი კორახაშვილი ცხოვრობდა იმ ტერიტორიაზე, სადაც კომისიის ინიციატივით სახელდება უნდა განხორციელდეს.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის სხდომას ესწრებოდნენ ლევან გრიგოლია და ალექსანდრე ჩადუნელი. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას სახელდებისთვის. ლევან აბაშიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების სახელების გაცოცხლება თბილისის ქუჩებში კომისიის პრიორიტეტული მიმართულებაა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ისნის რაიონში, საბარგოს დასახლების XII შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის დიმიტრი კორახაშვილის ქუჩის და დიმიტრი კორახაშვილის I, II და III ჩიხების სახელი.

8. **,,ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N447 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი წარმოადგინა და აღნიშნა, რომ საკითხი ტექნიკური ხასიათისაა და საჭიროებს ხარვეზის გასწორებას.

ცნობილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის #447 განკარგულებით, ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭა 13 მაისის სახელი.

როგორც დგინდება, განკარგულების დანართზე (რუკაზე) არსებობს გარკვეული უზუსტობა, რომლითაც სახელდებული სკვერის ნაწილი ფარავს უკვე მინიჭებულ ვიტალი დარასელიას სახელობის სკვერს. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დანართის (რუკის) ცვლილება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** ,,ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N447 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა.

9. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის კედარის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** ლევან აბაშიძემ სხდომაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ასეთი კომუნიკაცია დედაქალაქში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესს უწყობს ხელს.

2025 წლის 14 აგვისტოს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც სულხან სულხანიშვილის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია 72.16.21.757 საკადასტრო ერთეულთან გამავალი გზის სახელდება.

საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს კედარის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს კედარის I ჩიხის სახელი.

10. **ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ შინდისში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთისთვის და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

**მოისმინეს:** კომისიის სხდომაზე ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის #62 დადგენილებით სოფელ შინდისში განხორციელებული უსახელო ქუჩების, შესახვევებისა და გასასვლელების სისტემური სახელდებების შესახებ კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მოისმინეს. ცნობილია, რომ აღნიშნულ დადგენილებას არ ერთვის კოორდინატთა სისტემაში გამოსახული ქუჩათა გავრცელების არეალების ამსახველი კარტოგრაფიული მასალები, ვინაიდან იმ პერიოდში მომზადდა ერთიანი რუკა. ამ რუკის სიზუსტე კი რიგ შემთხვევებში საჭიროებს გადამოწმებას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე, კომისიამ შეისწავლა იოსებ მანსვეტაშვილის I და II შესახვევის, ასევე მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის გავრცელების არეალი. ირკვევა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთი კვეთს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებს და არც ფაქტობრივად და არც სამართლებრივად არ წარმოადგენს გადაადგილებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ სივრცეს/გზას. გარდა აღნიშნულისა, კომისიამ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული სერვისების საშუალებით შეისწავლა ტერიტორიაზე არსებული საკადასტრო ერთეულების საკუთრების უფლების დამდგენ დოკუმენტებში ქონების ფლობის პერიოდები. დგინდება, რომ აღნიშნულ ზონაში, საკუთრების უფლება წარმოშობილია საკრებულოს მიერ გზათა ქსელების სახელდებამდე.

ქალაქგეგმარებითი და ურბანული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციის შემდგომ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთი და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევი უნდა ჩამოყალიბდეს ერთ დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტად და მიენიჭოს მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის სახელი, ხოლო მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის იმ მონაკვეთზე, რომელზეც გეოგრაფიული ობიექტი კვეთს რეგისტრირებულ საკადასტრო ნაკვეთებს, უნდა გაუქმდეს სახელწოდება.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი იოსებ ბაღაშვილი. იგი იმ ტერიტორიის მაცხოვრებელია, სადაც შესახვევის გავრცელების არეალი უნდა შეიცვალოს.

მან მადლობა გადაუხადა კომისიას იმ ამომწურავი ინფორმაციისთვის, რაც მას დღევანდელი კომისიის სხდომაზე მიაწოდეს.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომბრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

**გადაწყვიტეს:** მთაწმინდის რაიონში, სოფელ შინდისში, მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის მონაკვეთს და იოსებ მანსვეტაშვილის I შესახვევს მიენიჭოს მიხეილ ჯავახიშვილის I შესახვევის სახელი.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე